გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №127

2022 წლის 8 ივლისი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.692 ფ/პ ხატია ძამაშვილისთვის პ/ნ 59001078553 პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 10 მარტს განცხადებით მომართა ფ/პ ხატია ძამაშვილმა (პ/ნ 59001078553), რომელიც ითხოვს, მის საკუთრებაში არსებული ფართის მიმდებარედ, ტროტუარიდან 1.05 ფართობის სარგებლობის უფლებით გადაცემას, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 14 ივნისის N 193-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.692 დაზუსტებული ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, კირიონ მეორის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 700.00 (შვიდასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს, მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.692 რაიმე მიზნით გამოყენება არ აქვს დაგეგმილი, ხოლო მისი აღნაგობის ფორმით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.692 1,00 კვ.მ. ფართობის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და აღნაგობის საზღაურის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.692 ფართობით 1,00 კვ.მ. (მდებარე გორში, კირიონ მეორის ქუჩის მიმდებარედ) გადასცეს ფ/პ ხატია ძამაშვილს (პ/ნ 59001078553) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, კიბის უჯრედის მოსაწყობად.

2. საწყისი საპრივატიზებო ფასი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ 66.45.18.692) ფართობით 1,00 კვ.მ. განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარით.

3. აღნაგობის საზღაურის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 240 (ორასორმოცი) ლარით.

4.აღნაგობის უფლების მქონეს, ს/კ 66.45.18.692 მიწის ნაკვეთი გადაეცემა კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

5. ქონება, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, გაცემული იქნეს 10 (ათი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე